კონცეფცია და სამოქმდო გეგმა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირველი ქართული უნივერსიტეტი, ამაყად აგრძელებს იმ ტრადიციებს და მიზნებს, რომლებიც დაისახეს მისმა დამფუძნებლებმა ჯერ კიდევ 98 წლის წინ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღიდან მისი დაარსებისა, ამიერკავკასიაში უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში პირველი უნივერსიტეტია და 2015 წლის მონაცემებით კვლავ ინარჩუნებს რეგიონში ლიდერი უნივერსიტეტის როლს.

პირველ ეროვნულ უნივერსიტეტს ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და დღესაც უკავია, როგორც ქართული სახელმწიფოებრივი ღირებულებების ფორმირებაში, აგრეთვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ძველი ქართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერების ინტელექტუალური ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი.

უნივერსიტეტის ცნება თავისთავად გულისხმობს უმაღლეს სასწავლებელს, რომელშიც ერთმანეთთან არის შერწყმული სასწავლო (საგანმანათლებლო) და სამეცნიერო-კვლევითი პროცესები. მიზანშეწონილია კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პირველ რიგში სტუდენტების მაღალკვალიფიციურ, თანამედროვე გლობალური გარემოსადმი ადაპტირებულ, სპეციალისტებად აღზრდას. ამ მიზნით აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, ფინანსური რესურსების მიმართვა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განვითარებისთვის - საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობისთვის, კიდევ უფრო მეტი უცხოელი პროფესორის მოწვევა ლექციების წასაკითხად, სამეცნიერო სემინარების ჩასატარებლად (ამ მიზნით გრანტების მოძიება/დაფინანსების გაზრდა), მაქსიმალური ხელშეწყობა/სტიმულირება ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობს - სულ 21713, მათგან 21268 აკადემიური (7 ფაკულტეტზე) და 445 პროფესიული პროგრამით. მატერიალური ბაზა - დაახლოებით 300 000 $მ^2$ და დამატებით 14 კვლევითი ინსტიტუტი[1].

სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - უნივერსიტეტის თითქმის ყველა სასწავლო კორპუსი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას (გარემონტებული 1-ლი კორპუსი და მე-3 კორპუსში ამჟამად მიმდინარე სარემონტო სამუშაოები მხოლოდ მცირედი ნაწილია უნივერსიტეტის მთლიანი ინფრასტრუქტურიდან).

როგორც საქართველოს, აგრეთვე უცხოელ მოქალაქეებს, საშუალება აქვთ განათლება მიიღონ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 200-ზე მეტი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები ხორციელდება. უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე

[1] http://newspaper.tsu.ge/ge/articles/view/80

ნებისმიერ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს გაცვლით და ერთობლივ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედებს 17 უცხოენოვანი სასწავლო პროგრამა (ბაკალავრიატში-4, მაგისტრატურაში-7, დოქტორანტურაში-6)[1]. უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტს მეტ ფინანსურ შემოსავლებს მოუტანდა და მის ავტორიტეტს კიდევ უფრო აამაღლებდა.

უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლების ღვაწლის დაფასების და ფინანსური დახმარების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. სასურველი იქნებოდა საპენსიო რეფორმაზე სახელმწიფოს ინიციატივის გათვალისწინებაც - არასახელმწიფო სისტემაში საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფორმატის დანერგვა.

თანამედროვე, მუდმივად ცვალებადი გარემო მოითხოვს ახალი პირობებისა და საჭიროებებისადმი მუდმივ ადაპტაციას (როგორც უნივერსიტეტის დონეზე, აგრეთვე ინდივიდუალურადაც), უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, თავის თავში მოიცავს რა იმ აქტივობათა ერთობლიობას, რომელიც მიმართული იქნება თანამშრომლების კომპეტენციის გაღრმავებაზე თუ ახალი ცოდნის შეძენაზე და ამ გზით, მთლიანად, თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის შესაძლებლობების გაზრდაზე. ბუნებრივია, რომ აღნიშნულში იგულისხმება თანამშრომლების (როგორც აკადემიური, აგრეთვე ადმინისტრაციული პერსონალის) თუ უნივერსიტეტის კომპეტენციის გაზრდა არა ზოგადად ყველა სფეროში, არამედ მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმატებული საქმიანობისათვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სასურველი მომავლის აღწერა, მდგომარეობა რომლის მიღწევაც სურს მას ხანგრძლივ პერსპექტივაში, ერთგვარი ათვლის წერტილი, მამოძრავებელი ძალა რომელსაც ეფუძნება მთლიანად უნივერსიტეტის საქმიანობა, ყველაფერი რაც იგეგმება უნივერსიტეტში - სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, კონკრეტული პროგრამები თუ პროექტები უნდა აახლოებდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავის მისიასთან[2] (რომლის ძირითადი მიმართულებები ჯერ კიდევ მისი დამფუძნებლების მიერ იყო გაცხადებული). უნივერსიტეტის მისიაზე დამოკიდებულია მისი სტრატეგიული მიზნებიც და ამოცანებიც (სქემა 1).

ადამიანური რესურსების მართვის თეორიიდან ცნობილია, რომ ზოგადად ორგანიზაციის წარმატებისთვის, მისი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისთვის სისტემატურად ხდება მისიის გადახედვა და დახვეწა. როდესაც მისია იცვლება გარემო პირობების და ორგანიზაციის განვითარების კვალდაკვალ, იგი ასრულებს მისთვის განკუთვნილ როლს - ახდენს ორგანიზაციის ზრდას, მისი წარმატების სტიმულირებას.

[1] https://www.tsu.ge/ge/study/foreing_edu/
[2] https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/

სქემა 1.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თავის მისიასთან დაახლოვება დამოკიდებულია სწორედ სტრატეგიული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების მიღწევაზე, რაც უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმალური დაგეგმვის, ორგანიზების და მართვის პირობებშია შესაძლებელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობები აგებულია მთავარი საფინანსო-ეკონომიკური დოკუმენტის (ბიუჯეტის) მიხედვით:

უნივერსიტეტის 2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 83599954 ლარს, სადაც 71164094 ლარი (85,12%) მოდის შემოსავლებზე (2016 წ.), ხოლო 12435860 ლარი (14,88%) კი ნაშთია (2015 წ.).

- <u>სულ შემოსავლები (2016 წ.)</u> – 71 164094 ლარი, აქედან:

- 48 153500 ლარი (67,67%) - ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებდართული სხვა საქმიანობიდან);
- 157000 ლარი (0,22%) - საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან;
- 2 261300 ლარი (3,18%) - საერთაშორისო გრანტებიდან.
- 20 592294 ლარი (28,93%) - სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მათ შორის:
  - 12 091060 ლარი (16,99%) - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
  - 1 072500 ლარი (1,51%) - სახელმწიფო სტიპენდია;
  - 3082734 ლარი (4,33%) - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად.;
  - 4 346000 ლარი (6,11%) - ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან.

- ხოლო <u>ნაშთი (2015 წლის)</u> – 12 435860 ლარი, აქედან: 7 207827 ლარი (57,96%) - სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან;

- 770000 ლარი (6,19%) - ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების;
- 1 326657 ლარი (10,67%) - საერთაშორისო გრანტების;
- 3 131376 ლარი (25, 18%) - სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება.

2016 წლის ბიუჯეტში მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 84% (69 911757 ლარი) გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურებაზე, საქონელზე/მომსახურებაზე და სუბსიდიებზე.

მარტო შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯებისთვის გათვლილია - მთლიანი შემოსავლების 44,4% (37 118150 ლარი), რაც წინა, 2015 წლის, ანალოგიურ მაჩვენებელს (29 821235 ლარი) აღემატება 7 296915 ლარით (19,7%-ით).

საქონელზე/მომსახურებაზე გასაწევ ხარჯებში 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მთლიანი შემოსავლების 36,4% (30 426457 ლარი), რაც წინა, 2015 წლის, ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (33 157147 ლარი) ნაკლებია 2 730690 ლარით (ნახ.1).

ნახ.1.



მიზანშეწონილი იქნებოდა საქონელზე/მომსახურებაზე დანახარჯების კიდევ მნიშვნელოვნად შემცირება. მაგალითად, აღნიშნულ ხარჯებში მნიშვნელოვანი წილი მოდის უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების ელექტრომომარაგებაზე (სეზონურად კი ემატება გათბობის მიზნით დანახარჯები გაზმომარაგებაზეც). ზაფხულის პერიოდში მარტო ელეტროენერგიის გადასახადი ყოველთვიურად დახლოებით 50000 ლარია, ხოლო ზამთარში კი დაახლოებით - 70000 ლარი. ელექტროენერგიაზე დანახარჯების მინიმიზაციის მიზნით უნივერსიტეტის კორპუსებზე მზის სისტემის ელემენტების დამონტაჟებით თსუ ბიუჯეტი ყოველწლიურად საშუალოდ 780 000 ლარის ეკონომიას მიიღებდა, რაც მხოლოდ 2 წლის განმავლობაში უნივერსიტეტს მისცემს 1 560 000 ლარის ეკონომიას.

რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის, როგორც მთავარი საფინანსო-ეკონომიკური დოკუმენტის, შედგენის და ხარჯვის პროცესს, სასურველი იქნებოდა, რომ გამჭვირვალე იყოს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისთვის.

სამოქმედო გეგმა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის წარატებით განვითარება, არსებული სამეცნიერო პოტენციალის ზრდა და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება ძირითადად აგებულია უნივერსიტეტში ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმალურ მართვაზე. ამ მიზნით გასატარებელი ძირითადი ღონისძიებებია:

- საფინანსო, მატერიალური და სხვა ადმინისტრაციული დეპარტამენტების საქმიანობის ანალიზი და მართვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება;
- მატერიალური ქონების ინვენტარიზაცია;
- ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმალურად მართვის მიზნით ყველა დაქვემდებარებული დეპარტამენტის შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონულ მმართველობაზე გადაყვანა;
- მეტი გამჭვირვალობის მიზნით ბიუჯეტის დაგეგმვის, შედგენის და ხარჯვის პროცესში აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სხვა სტრუქტურული ერთეულების მაქსიმალური მონაწილეობა, მათთან კონსულტაციების შედეგად შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება;
- სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, პროფესორ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურებისადმი რაციონალურ მიდგომის მიზნით ფაკულტეტების აქტიურობის გაზრდა ფინანსური და მატერიალური რესურსების განკარგვის მიმართულებით;
- მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით კოორდინირებული ურთიერთობების გაძლიერება თსუ ცენტრალურ ადმინისტრაციულ დეპარტამენტებსა და ფაკულტეტებს შორის;
- შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის ამაღლება;
- სტუდენტთა სასწავლო ცხრილების და პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვების შესაბამისობის მოსაწესრიგებლად სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტსა და შიდა აუდიტის სამსახურს შორის კოორდინაციის გაძლიერება;
- პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების მაქსიმალურად ამოქმედება - სტუდენტთა და ლექტორთა გაცვლითი პროგრამების გაფართოება, სტაჟირებების, ტრენინგების, ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების და ა.შ. დაგეგმვა და ორგანიზება თსუ შესაბამისი ადმინისტრაციული დეპარტამენტების მიერ;

- საუნივერსიტეტო კვლევების კომერციალიზაციის საერთაშორისო აპრობირებული მოდელის შერჩევა და დანერგვა - საუნივერსიტეტო ცოდნისა და კვლევების შედეგების კომერციალიზაცია (და წარმატებულ ბიზნესად გადაქცევა);
- სამეცნიერო აღმოჩენების ბაზაზე და უნივერსიტეტის სამართლებრივი, ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით სპინ-ოფ კომპანიების შექმნა (საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით) და შემდგომი წილობრივი მოგების მიღება მათი საქმიანობიდან (კომპანიების აქციებიდან შემოსავალი) ან მოგების მიღება კომპანიების გაყიდვიდან; პერსპექტიული სამეცნიერო მიღწევების საპატენტო მხარდაჭერა და ამ პატენტებზე ლიცენზიების გაყიდვიდან მოგების მიღება („უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილების ინიცირების შეთავაზება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის);
- მეცნიერ-მკვლევარებისთვის სასწავლო პროგრამებისა და სემინარების ორგანიზება სამართლებრივ და კომერციულ საქმიანობაზე, მათთვის ტრენინგების ჩატარება თუ როგორი ურთიერთობაა საჭირო პოტენციურ ვენჩურულ ინვესტორებთან;
- წარმატებული სამეცნიერო კვლევების შედეგების წარმოჩენის და უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით, თსუ ყველა მიმართულების მეცნიერთა და აკადემიური პერსონალის წარმატებების შესახებ გამოფენების მოწყობა თსუ ადმინისტრაციული რესურსებით, უცხო ქვეყნის საელჩოებთან პარტნიორობით - ამ ღონისძიებებზე სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების, მეწარმეების, ბიზნეს-წრეების, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, საინფორმაციო საშუალებების და სხვ. მოწვევა;
- მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ხელშეწყობა, ყოველწლიური გამარჯვებული პროექტების ძირითადი შედეგების საუნივერსიტეტო სივრცეში შეძლებისდაგვარად დანერგვის სტიმულირება;
- სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების მიზნით - ელექტრონული და დისტანციური სასწავლო პროგრამების დანერგვისთვის აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლება/სტიმულირება; შექმნილი პროდუქციის - ელექტრონული და დისტანციური სასწავლო კურსების კომერციალიზაცია;
- უცხოელი სტუდენტების დაინტერესება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლით, აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების (რომელიც წარმატებულია მომავალ სტუდენტებთან ურთიერთობაში) სტიმულირება კიდევ უფრო მეტი ქართველი და უცხოელი აბიტურიენტის მოსაზიდად, უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით აბიტურიენტების დაინტერესება, „საბავშვო უნივერსიტეტის“ თანადგომა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნივერსიტეტის ფაკულტეტების პრესტიჟულობის წარმოსაჩენად - ამ ჩამოთვლილი მიზნების განსახორციელებლად ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსის გააქტიურება (რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ა.შ.);
- უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალის (აკადემიური პერსონალის და სხვ.) მაქსიმალურად დაინტერესება/სტიმულირება, მოტივაციის ამაღლება უწყვეტი განათლების მიმართულებით სასერტიფიკატო/ტრენინგ კურსების პროგრამების შესადგენად და მათ განსახორციელებლად. წინასწარ გათვლილი ოპტიმალური გადასახადის დაწესება, რომელიც შემოსავლებს მოუტანს უნივერსიტეტს;

- უცხოური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნის პროგრამის გაფართოება; უნივერსიტეტის გამომცემლობის მონაწილეობა აშშ საელჩოს მიერ გამომცემლობებისთვის გამოცხადებულ „წიგნის თარგმნის“ ყოველწლიურ პროექტში;
- თსუ შესაბამისი ადმინისტრაციული დეპარტამენტების მიერ სტუდენტური ინოვაციური პროექტების კონკურსების სტიმულირება/ორგანიზება;
- საუნივერსიტეტო სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკის განვითარების სტიმულირება (ქ.თბილისის მერიასთან პარტნიორობით და უნივერსიტეტის თანადაფინანსებით შექმნილი ბიზნეს-ინკუბატორის, FAB-LAB-ის, სისტემატური მონიტორინგი და განვითარება);
- სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში (კონკურსებში, კონფერენციებზე, სემინარებზე, სეზონურ სკოლებში და ა.შ.) მონაწილეობისთვის თანადგომა;
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შიდა საუნივერსიტეტო ეთიკის კოდექსის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- პოპულარიზაციის და გარკვეული შემოსავლების მიღების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდირებული ატრიბუტიკის (ბროშურები, ღია ბარათები, მისალოცი ბარათები, საკანცელარიო და სხვა ნივთების) დამზადება/რეალიზაცია;
- თსუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამსახურების მიერ საგრანტო პროექტების დაწერისა და მათი საკონკურსოდ წარსადგენად საჭირო გზამკვლევის მომზადება და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება - ამის შესახებ სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინფორმირება (ელ-ფოსტით, შეხვედრებით) და მხარდაჭერა/თანადგომა;
- ადმინისტრაციულად დაქვემდებრებული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით კომპეტენციის გაღრმავება/კვალიფიკაციის ამაღლება (ტრენინგებით და ა.შ.);
- საერთაშორისო პრაქტიკაში არასახელმწიფო სისტემაში ფართოდ გავრცელებული დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფორმატის დანერგვა;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება (შესაძლებლობის ფარგლებში, იურიდიული კონსულტაციის შედეგად);
- უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების ეტაპობრივი კაპიტალური რემონტი, ინფრასტრუქტურის გამართვა და თანამედროვე სასწავლო პირობებზე მორგება, ახალი ტექნიკით და ტექნოლოგიებით აღჭურვა - ქველმოქმედი ადამიანების და სახელმწიფოს დახმარებით;
- თსუ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; სტუდენტთა ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის ორგანიზაციული საკითხების დაჩქარება და ოპტიმალურად მცირე დროში დასრულება;
- ელექტროენერგიაზე დანახარჯების მინიმიზაციის მიზნით მზის სისტემის ელემენტების დამონტაჟება უნივერსიტეტის კორპუსებზე (ეტაპობრივად ყველა სასწავლო კორპუსზე), რაც ყოველწლიურად საშუალოდ 780 000 ლარის ეკონომიას მისცემდა თსუ ბიუჯეტს.